

# საქართველოს უნივერსიტეტი

## მართვის დებულება

## Contents

თავი 1. ტერმინთა განმარტება .....	3
თავი 2. ზოგადი დებულებები .....	3
მუხლი 1. მართვა და სტრუქტურა .....	3
თავი 3. ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა და მართვის კოლეგიური ორგანოები .....	3
მუხლი 2. პრეზიდენტების საბჭო .....	4
მუხლი 3. წარმომადგენლობითი საბჭო .....	4
მუხლი 4. აკადემიური საბჭო .....	5
მუხლი 5. დავის განმხილველი საბჭო .....	6
თავი 3. ადმინისტრაციული და სასწავლო-სამეცნიერო პროცესის მართვა .....	7
მუხლი 6. რექტორი (ცვლილება N-4: პარტნიორთა კრების 2016 წლის 22 დეკემბრის N-5/16 ოქმით) .....	7
მუხლი 7. რექტორის საბჭო .....	8
მუხლი 8. პრორექტორი საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში .....	8
მუხლი 9. პრორექტორი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დარგში .....	9
მუხლი 10. პრორექტორი იურიდიულ დარგში .....	9
მუხლი 11. პრორექტორი საფინანსო-სამეურნეო დარგში .....	10
მუხლი 12. პრორექტორი სასწავლო -სამეცნიერო დარგში .....	11
მუხლი 13. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა .....	12
მუხლი 14. სკოლის დეპარტამენტი .....	12
მუხლი 15. სკოლის საბჭო .....	13
მუხლი 16. სკოლის წარმომადგენლობითი საბჭო .....	13
მუხლი 17. საუნივერსიტეტო სასწავლო ცენტრები და ლაბორატორიები .....	13
მუხლი 18. ამოღებულია .....	13
მუხლი 19. აკადემიური პერსონალი .....	13
მუხლი 20. სასწავლო პროცესი .....	14
მუხლი 21. სტუდენტური თვითმმართველობა .....	14
მუხლი 22. კოლეგიური ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი .....	14
მუხლი 22 <sup>1</sup> . გარდამავალი დებულებები .....	14

### თავი 1. ტერმინთა განმარტება

- ა) **საზოგადოების წესდება** - შპს “საქართველოს უნივერსიტეტის” წესდება, დამტკიცებული პარნიორთა კრების 2010 წლის 4 მაისის 4/10 ოქმით.
- ბ) **დამტკიცება** - ამ დებულების მიზნებისათვის განიმარტება, როგორც საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.
- გ) **განხილვა** - საკითხზე მსჯელობა, რომელიც არ სრულდება განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებით.

### თავი 2. ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1. მართვა და სტრუქტურა

- 1. საქართველოს უნივერსიტეტის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, საზოგადოების წესდებისა და ამ დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.
- 2. მართვის კოლეგიური ორგანოებია:
  - 2.1 პარნიორთა კრება
  - 2.2 დავის განმხილველი საბჭო
  - 2.3 ამოღებულია. (ცვლილება N-1: პარნიორთა კრების 2015 წლის 20 აპრილის N-6/15 ოქმით)
  - 2.4 წარმომადგენლობითი საბჭო
  - 2.5 აკადემიური საბჭო
  - 2.5<sup>1</sup> რექტორის საბჭო
- 2<sup>1</sup>. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა (ცვლილება N-1: პარნიორთა კრების 2015 წლის 20 აპრილის N-6/15 ოქმით)
  - 2<sup>1.1</sup> საზოგადოების წესდებით და ამ დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს ახორციელებენ რექტორი და საქართველოს უნივერსიტეტის პრეზიდენტები. (ცვლილება N-4: პარნიორთა კრების 2016 წლის 22 დეკემბრის N-5/16 ოქმით).
- 3. უნივერსიტეტის სტრუქტურა განსაზღვრულია დანართი №1-ის შესაბამისად. უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო (სასწავლო-სამეცნიერო) და ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულები. სამსახურები შედგება განყოფილებებისგან/ცენტრებისაგან, სკოლები - დეპარტამენტებისგან.
- 4. სამეცნიერო-საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულებია:
  - 4.1 ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა
  - 4.2 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (შემდგომში - „ინსტიტუტი“)
- 5. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულებია სკოლა, დეპარტამენტი სამსახური, განყოფილება.
- 6. სკოლა წარმოადგენს უნივერსიტეტის როგორც ადმინისტრაციულ, ისე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს.
- 7. პარნიორთა კრების და პრეზიდენტების უფლებამოსილებები ასევე განისაზღვრება შპს “საქართველოს უნივერსიტეტის” წესდებით (შემდგომში “საზოგადოების წესდება”), დამტკიცებული პარნიორთა კრების 4/10 ოქმით.

### თავი 3. ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა და მართვის კოლეგიური ორგანოები

## მუხლი 2. პრეზიდენტები

1. პრეზიდენტები ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებენ ერთობლივად, გარდა ამ დებულებით და საზოგადოების წესდებით განსაზღვრული შემთხვევებისა.
2. პრეზიდენტები:
  - 2.1.1 რექტორის წარდგინებით ამტკიცებს წლიურ ბიუჯეტს
  - 2.1.2 რექტორის წარდგინებით ამტკიცებს სტრატეგიული განვითარების მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებს
  - 2.1.3 დებს გარიგებებს
  - 2.1.4 ერთ-ერთი პრეზიდენტის მოთხოვნით ისმენენ რექტორის და მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ
  - 2.1.5 ნიშნავს და ათავისუფლებენ რექტორს. სხვა პერსონალს (ადმინისტრაციული და აკადემიური) ნიშნავენ და ათავისუფლებენ რექტორის წარდგინებით
  - 2.1.6 საკუთარი ინიციატივით ან რექტორის წარდგინებით ამტკიცებენ თანამშრომლების სამუშაოთა აღწერილობებს, ხელფასის ოდენობას და უნივერსიტეტის შინაგანაწესს;
  - 2.1.7 ანიჭებენ სტუდენტის სტატუსს პირს, ასევე კანონმდებლობითა და შიდა საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით შეუჩერებენ, შეუწყვეტენ ან აღუდგენენ პირს სტუდენტის სტატუსს
  - 2.1.8 ცელკულ საკითხებზე პრეზიდენტების გადაწყვეტილებით ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს რექტორს ან ერთ-ერთ პრეზიდენტს. (ცვლილება N-4: პარტნიორთა კრების 2016 წლის 22 დეკემბრის N-5/16 ოქმით)
  - 2.1.9 საკუთარი ინიციატივით ან რექტორის წარდგინებით იყენებს თანამშრომლების მიმართ წახალისების ღონისძიებებს ან დისციპლინურ სანქციებს. დისციპლინურ სანქციებს აკისრებს სტუდენტებს
  - 2.1.10 საკუთარი ინიციატივით ან რექტორის წარდგინებით ქმნიან დროებით სათათბირო ორგანოებს
  - 2.1.11 გამოსცემენ სამართლებრივ აქტებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში
  - 2.1.12 ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს
3. ამოღებულია. (ცვლილება N-4: პარტნიორთა კრების 2016 წლის 22 დეკემბრის N-5/16 ოქმით)
4. პრეზიდენტი, არყოფნის ან საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ბრძანებით, ერთპიროვნულად, ნიშნავს მოვალეობის შემსრულებელს ადმინისტრაციული პერსონალიდან. სხვა პირის მოვალეობის შემსრულებელად დანიშვნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 60 კალენდარულ დღეს.
5. ამოღებულია. (ცვლილება N-1: პარტნიორთა კრების 2015 წლის 20 აპრილის N-6/15 ოქმით)
6. პრეზიდენტების საქმიანობის ორგანიზაციულ ხელშეწყობას ახორციელებს პრეზიდენტების ოფისი. ოფისის მენეჯერ(ებ)ი უზრუნველყოფს სხდომებისა და შეხვედრების ორგანიზებას, ოქმების შედგენას, ასევე უფლებამოსილია პრეზიდენტების ფაქსიმილიის გამოყენებაზე.

## მუხლი 3. წარმომადგენლობითი საბჭო

1. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედიან: პრეზიდენტები, რექტორი, ინსტიტუტის დირექტორი, სკოლების დირექტორები, დეპარტამენტის უფროსები, სამსახურის უფროსები, განყოფილებების უფროსები, პროფესორები, კანონმდებლობის

შესაბამისად, ყოველწლიურად არჩეული 3 სტუდენტი (აქედან ერთი სტუდენტი არჩეული, როგორც სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი და ორი - როგორც დამოუკიდებელი სტუდენტი). საუნივერსიტეტო სტუნტური კლუბების წარმომადგენელი.

2. წარმომადგენლობითი საბჭო:
  - 2.1 ისმენს სამსახურების ყოველწლიურ ანგარიშებს
  - 2.2 რექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის, სკოლების სიმბოლიკას (ლოგო, დროშა, ჰიმნი, გერბი, მანტია და სხვა)
  - 2.3 განიხილავს სტუდენტური თვითმმართველობის კომპეტენციისადმი მიკუთვნებულ იმ საკითხებს, რაც საჭიროებს საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებას
  - 2.4 პრეზიდენტების წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის მისიას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები
  - 2.5 ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ და პარტნიორთა კრების მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებებს.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრს სტატუსი უწყდება შესაბამისი თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში.
4. წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე - პრეზიდენტები მონაცვლეობით. საბჭო მოიწვევა თავმჯდომარის მიერ სასწავლო წლის დასრულებისას. საბჭოს დღის წესრიგს ადგენს წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი. საბჭოს წევრები უფლებამოსილი არიან მიმართონ საბჭოს მდივანს დღის წესრიგში დამატების შეტანის წინადადებით სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს 2 დღისა.
5. წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გაფორმდეს „წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილების“ სახითაც.

#### მუხლი 4. აკადემიური საბჭო

1. აკადემიური საბჭოს მუდმივი წევრები არიან: რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ინსტიტუტის დირექტორი, სკოლის დირექტორი, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსი. აკადემიური საბჭოს წევრს სტატუსი უწყდება შესაბამისი თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში. აკადემიური საბჭოს სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნან სხვა პირებიც.
2. აკადემიური საბჭო:
  - 2.1 სკოლის დირექტორის წარდგინებით განიხილავს აკადემიური პროგრამის მიხედვით ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნებისათვის კოეფიციენტების (რომელთა ჯამი 12-ის ტოლია) მინიჭების საკითხს, ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მოთხოვნათა შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დადგენილ სხვა მოთხოვნებს
  - 2.2 სკოლის დირექტორის წარდგინებით განიხილავს სამაგისტრო გამოცდებისათვის კოეფიციენტების (რომელთა ჯამი 100-ის ტოლია) მინიჭების საკითხს, ასევე სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების მოთხოვნათა შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დადგენილ სხვა მოთხოვნებს
  - 2.3 სკოლის დირექტორის წარდგინებით, ამტკიცებს მაგისტრატურაში მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის პროგრამას
  - 2.4 სკოლის დირექტორის წარდგინებით, ამტკიცებს საპრეტენზიო საბჭოს შემადგენლობას მაგისტრანტობის კანდიდატთა პრეტენზიების განსახილველად
  - 2.5 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით, ამტკიცებს კურიკულუმების, სილაბუსების, აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ სტანდარტებს

- 2.6 განიხილავს საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების, სადოქტორო სწავლები დებულებების პროექტს/დებულებაში ცვლილების პროექტებს. თუ ცვლილება არ აუმჯობესებს სტუდენტის მდგომარეობას, იგი ძალაში შედის მომდევნო სასწავლო სემესტრიდან
- 2.7 განიხილავს სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულების პროექტს/დებულებაში ცვლილების პროექტს
- 2.8 სკოლის დირექტორის წარდგინებით განიხილავს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის, ცვლილების ან გაუქმების შესახებ წინადადებას
- 2.9 ამტკიცებს სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს
- 2.10 პრეზიდენტის ან სკოლის დირექტორის შუამდგომლობის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, იღებს გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორის, ასევე ემერიტუსის წოდების მინიჭების ან ჩამორთმევის თაობაზე
- 2.11 სკოლების წინადადებების საფუძველზე, ამტკიცებს ვაკანტური ადგილების რაოდენობას სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან უნივერსიტეტში მობილობის წესით გადმოსვლისათვის სკოლების/საგანმანათლებლო პროგრამებისა ან/და საფეხურების მიხედვით
- 2.12 ამტკიცებს უნივერსიტეტის მიერ გაცემული სერთიფიკატების, საპატიო დოქტორის დიპლომის, ასევე მანტიის, კვერთხის, მედლის სახეს და ფორმას
- 2.13 განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის სრულფასოვანი განათლებისთვის აუცილებელ პირობებს
- 2.14 ანიჭებს აკადემიურ თანამდებობას პროფესიული ნიშნით კვალიფიციურ პერსონალს, რომელთა კვალიფიკაციაც დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია
- 2.15 ასრულებს კანონმდებლობით ან უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს
3. ამ მუხლის 2.1, 2.2, 2.6-2.8, 2.14, 2.15 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებას ამტკიცებენ პრეზიდენტები ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს აკადემიურ საბჭოს ხელახლა განსახილველად ან თავად იღებენ გადაწყვეტილებას.
4. აკადემიური საბჭოს სხდომას იწვევს რექტორი, რომელიც იმავდროულად არის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. რექტორის არ ყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი პრორექტორი.
5. აკადემიური საბჭოს დღის წესრიგს ადგენს რექტორის ოფისის მენეჯერი - აკადემიური საბჭოს მდივანი. საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საბჭოს მდივანს დღის წესრიგში დამატების შეტანის წინადადებით სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს 1 დღისა.
6. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გაფორმდეს "აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების" სახითაც.

#### მუხლი 5. დავის განმხილველი საბჭო

1. საბჭო წარმოადგენს კოლეგიურ ორგანოს. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება სამი წევრით. საბჭოს წევრები არიან: იურისტი; პრორექტორი საფინანსო-სამეურნეო დარგში; შესაბამისი სკოლის დირექტორი/პრორექტორი ვისი თანამშრომლის/სტუდენტის საჩივარიც განიხილება.
2. დავის განმხილველ საბჭოში ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, შეიძლება



გასაჩივრდეს პრეზიდენტების მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

### თავი 3. ადმინისტრაციული და სასწავლო-სამეცნიერო პროცესის მართვა

#### მუხლი 6. რექტორი (ცვლილება N-4: პარნიორთა კრების 2016 წლის 22 დეკემბერის N-5/16 ოქმით)

1. რექტორი წარმოადგენს უნივერსიტეტის მმართველ თანამდებობის პირს. რექტორი პრეზიდენტების მოადგილეა.
2. რექტორი ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებს და განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს.
3. რექტორი პრეზიდენტთა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს:
  - 3.1 სტრატეგიული განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარების გეგმის პროექტებს
  - 3.2 წლიური ბიუჯეტის პროექტს.
4. რექტორი პრეზიდენტთა საბჭოს წარუდგენს წინადადებას:
  - 4.1 საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სწავლის საფასურის ოდენობის შესახებ
  - 4.2 აკადემიური რეგისტრაციის, მობილობისთვის რეგისტრაციის, შიდა მობილობის და სტუდენტის სტატუსის აღდგენის ვადების შესახებ
  - 4.3 სახელობითი სტიპენდიის შემოღების შესახებ
  - 4.4 სკოლის შექმნის, შერწყმის ან გაუქმების შესახებ
5. საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით რექტორი:
  - 5.1 დებს გარიგებებს (გარდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებისა), თუ მისი ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს
  - 5.2 ხელს აწერს კორესპონდენციას, რომელიც არ ითვალისწინებს უნივერსიტეტის მიერ რაიმე ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას
  - 5.3 იღებს გადაწყვეტილებებს ქვემდგომი სტრუქტურული ერთეულის (გარდა სკოლისა) შექმნის, გაუქმების ან რეორგანიზაციის, მათი უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ;
  - 5.4 რექტორი განკარგავს უნივერსიტეტის სახსრებს პრეზიდენტებთან შეთანხმებით ან/და ბიუჯეტით დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით
  - 5.5 ამ წესით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, რექტორი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე
  - 5.6 მიმდინარე საკითხების განსახილველად მართვას შეხვედრებს პრორექტორებთან და სკოლის დირექტორებთან. მიღებულ გადაწყვეტილებებს დასამტკიცებლად წარუდგენს პრეზიდენტებს, თუ ამ დებულებით სხვა რამ არის გათვალისწინებული
  - 5.7 ამზადებს შემდგომი სასწავლო (ფინანსური) წლის ბიუჯეტის პროექტს გაწერილ სტრუქტურულ ერთეულების მიხედვით. შეჯერებული ბიუჯეტის პროექტს რექტორი დასამტკიცებლად წარუდგენს პრეზიდენტებს
  - 5.8 ახორციელებს ამ დებულებით ან სხვა სამართლებრივი აქტით დადგენილ მოთხოვნებს
6. რექტორი ვალდებულია პრეზიდენტების მოთხოვნით ანგარიშით წარსდგეს პრეზიდენტების წინაშე.
7. რექტორის დაქვემდებარებაში არიან:
  - ა) პრორექტორები
  - ბ) სკოლის დირექტორები

## მუხლი 7. რექტორის საბჭო

1. რექტორის საბჭო წარმოადგენს რექტორის სათათბირო ორგანოს, რომელიც იკრიბება კვირაში ერთხელ. რექტორის საბჭოს შემადგენლობაში შედიან პრორექტორები და სკოლის დირექტორები.
2. რექტორის საბჭოს კომპეტენციაში შედის სკოლის დირექტორებს და პრორექტორების დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი ღონისძიებების განხილვა/გადაწყვეტილებების მიღება.

## მუხლი 8. პრორექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში (ცვლილება N -8: პარნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N – 14/19 ოქმით)

1. პრორექტორის მოვალეობაა მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების / განყოფილებების საქმიანობის დაგეგმვა და კონტროლი. უძღვება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურების საქმიანობას და პასუხისმგებელია მათ გამართულ საქმიანობაზე, ფუნქციების განაწილებაზე და მათ მიერ შესრულებული სამუშაოების კონტროლზე, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის პერიოდული თუ ერთჯერადი ანგარიშების წარდგენაზე, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მექანიზმების სრულ ინფორმატიზაციაზე და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში განსახორციელებელი ინოვაციების მოძიებაზე, ადმინისტრაციასთან შეთანხმებაზე და უნივერსიტეტში დანერგვაზე. პრორექტორისადმი დაქვემდებარებული განყოფილება ვალდებულია განსახორციელებელი საქმიანობა შეათანხმოს პრორექტორთან.
2. პრორექტორის დაქვემდებარებაშია:
  - 2.1 ვებ-ტექნოლოგიების განვითარების სამსახური - სამსახურის ფუნქციაა უნივერსიტეტისა და მისი სტრუქტურული ერთეულებისათვის საჭირო ვებ-გვერდების დამზადება და კორპორაციული ელექტრონული ფოსტის შექმნა და მართვა.
  - 2.2 მონაცემთა ბაზების განვითარების სამსახური - სამსახურის ფუნქციაა SQL Server-ის და მონაცემთა ბაზების მომსახურება/უსაფრთხოება/ავტომატიზაცია.
  - 2.3 IT ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური - სამსახურის ფუნქციაა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შესაბამისი კომპიუტერული ინვენტარით უზრუნველყოფა, კომპიუტერული ტექნიკის გამართული ფუნქციონირება,
  - 2.4 IT აკადემია - სამსახურის ფუნქციაა საუნივერსიტეტო და სასეთიფიკატო კურსების ორგანიზება, სხვადასხვა IT ღონისძიებების დაგეგმვა-შემუშავება და ჩატარება.
  - 2.5 სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური - სამსახურის ფუნქციაა სტუდენტის უნივერსიტეტში სწავლასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-ტექნიკური საკითხების ორგანიზება.
    - 2.5.1 სამსახურის დაქვემდებარებაშია:
      - 2.5.1.1 საბაკალავრო სწავლების განყოფილება
      - 2.5.1.2 სამაგისტრო სწავლების განყოფილება
      - 2.5.1.3 სადოქტორო სწავლების განყოფილება
      - 2.5.1.4 საკვალიფიკაციო ნაშრომების განყოფილება
      - 2.5.1.5 ერთსაფეხურიანი სწავლების განყოფილება
      - 2.5.1.6 საგამოცდო ცენტრი
      - 2.5.1.7 რეესტრის წარმოების განყოფილება
      - 2.5.1.8 სტუდენტთა და ლექტორთა მომსახურების განყოფილება
      - 2.5.1.9 სტუდენტთა საქმისწარმოების განყოფილება



#### 2.5.1.10 კრედიტების აღიარების განყოფილება.

მუხლი 9. პრორექტორი საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (ცვლილება N -8: პარტნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N – 14/19 ოქმით)

1. პრორექტორის მოვალეობაა მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების / განყოფილებების/ცენტრების საქმიანობის დაგეგმვა და კონტროლი. პრორექტორისადმი დაქვემდებარებული სამსახური / განყოფილება / ცენტრი ვალდებულია განსახორციელებელი საქმიანობა შეათანხმოს პრორექტორთან.
2. პრორექტორის დაქვემდებარებაშია შემდეგი სამსახურები:
  - 2.1 საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური - სამსახურის ძირითადი ფუნქციებია პრესასთან ურთიერთობა, უნივერსიტეტის იმიჯისა და ცნობადობის გაზრდა.
    - 2.1.1 სამსახური შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:
      - 2.1.1.1 საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება
      - 2.1.1.2 მარკეტინგის განყოფილება
      - 2.1.1.3 ქოლ ცენტრი
    - 2.2 სტუდენტური საქმეების ცენტრი - ცენტრის ძირითადი ფუნქციებია სტუდენტური აქტივობების ხელშეწყობა. (ცვლილება N-3: პარტნიორთა კრების 2016 წლის 24 თებერვლის N-1/16 ოქმით)
      - 2.2.1 ამოღებულია
      - 2.2.2 ამოღებულია
      - 2.2.3 ამოღებულია
      - 2.2.4 ამოღებულია
    - 2.3 საერთაშორისო სტუდენტებისა და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური - სამსახურის ძირითადი ფუნქციებია საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ურთიერთობების დამყარება და საერთაშორისო სტუდენტებთან ურთიერთობა.
      - 2.3.1. ამოღებულია
      - 2.3.2. ამოღებულია
      - 2.3.3. ამოღებულია
    - 2.4 დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი (ცვლილება N-3: პარტნიორთა კრების 2016 წლის 24 თებერვლის N-1/16 ოქმით) - ცენტრის ძირითადი ფუნქციებია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობა.
      - 2.4.1 ამოღებულია.
  - 2.5. რეგიონული ოფისები - ოფისების ძირითადი ფუნქციაა რეგიონებში უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, უნივერსიტეტის PR კამპანიის მხარდაჭერა, საჯარო და კერძო სკოლებთან კომუნიკაცია და უნივერსიტეტის მხარდამჭერი ღონისძიებების ორგანიზება.

მუხლი 10. პრორექტორი იურიდიულ დარგში (ცვლილება N -8: პარტნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N – 14/19 ოქმით)

1. პრორექტორის მოვალეობაა მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების / განყოფილებების საქმიანობის დაგეგმვა და კონტროლი, უნივერსიტეტის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, ერთიანი საქმისწარმოების კონტროლი და ადამიანური რესურსების მართვა. პრორექტორისადმი დაქვემდებარებული განყოფილება ვალდებულია განსახორციელებელი საქმიანობა შეათანხმოს პრორექტორთან.
2. პრორექტორის დაქვემდებარებაშია:

- 2.1 იურიდიული განყოფილება
- 2.2 ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
  - 2.2.1. სამედიცინო და სადაზღვევო განყოფილება (ცვლილება N -8: პარტნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N – 14/19 ოქმით)
- 2.3 კანცელარია.
- 2.4 არქივი.

#### მუხლი 11. პრორექტორი საფინანსო-სამეურნეო დარგში

- 1. პრორექტორის მოვალეობაა მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების / განყოფილებების საქმიანობის დაგეგმვა და კონტროლი. პრორექტორისადმი დაქვემდებარებული სამსახური / განყოფილება ვალდებულია განსახორციელებელი საქმიანობა შეათანხმოს პრორექტორთან.
- 2. პრორექტორის დაქვემდებარებაშია შემდეგი სამსახურები:
  - 2.1 საფინანსო სამსახური - საფინანსო სამსახურის უფროსი უზრუნველყოფს ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას, საწარმოს წლიური ბიუჯეტის პროექტის შედგენას, ანგარიშსწორებასა და საინვესტიციო პროექტებზე მუშაობას.
    - 2.1.1 საფინანსო სამსახური შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:
      - 2.1.1.1 ბუღალტერია
      - 2.1.1.2 სალარო
      - 2.1.1.3 ფინანსური დაგეგმარების და მონიტორინგის განყოფილება
      - 2.1.1.4 საფინანსო და საინვესტიციო პროექტების განყოფილება.
    - 2.2 მატერიალური რესურსების მართვის სამსახური - მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების ეფექტიანად მართვას.
      - 2.2.1 მატერიალური რესურსების მართვის სამსახური შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:
        - 2.2.1.1 მომარაგების განყოფილება
        - 2.2.1.2 სამეურნეო განყოფილება
        - 2.2.1.3 დასუფთავების განყოფილება
        - 2.2.1.4 ავტოპარკი
        - 2.2.1.5 კავშირგაბმულობა და ელექტროფიკაცია
      - 2.3 უსაფრთხოების სამსახური - უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი. უსაფრთხოების სამსახურის ძირითადი ამოცანაა უნივერსიტეტის პერსონალის, სტუმრების და სტუდენტების უსაფრთხოებაზე ზრუნვა, წესრიგის, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური ქონების დაცვა, ასევე სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
    - 2.4. ამოღებულია (ცვლილება N-3: პარტნიორთა კრების 2016 წლის 24 თებერვლის N-1/16 ოქმით.
    - 2.5. გამომცემლობა. გამომცემლობა შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:
      - 2.5.1. სარედაქციო განყოფილება
      - 2.5.2. წიგნებისა და საკანცელარიო მალაზია. მის დაქვემდებარებაშია:
        - 2.5.2.1. ასლის გამრავლების ოფისი
    - 2.6. სტამბა.

**მუხლი 12. პრორექტორი სასწავლო -სამეცნიერო დარგში (ცვლილება N -8: პარტნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N – 14/19 ოქმით)**

1. პრორექტორის მოვალეობაა მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების / განყოფილებების საქმიანობის დაგეგმვა და კონტროლი. პრორექტორისადმი დაქვემდებარებული სამსახური / განყოფილება / ინსტიტუტი ვალდებულია განსახორციელებელი საქმიანობა შეათანხმოს პრორექტორთან.
2. პრორექტორის დაქვემდებარებაშია შემდეგი სამსახურები:
  - 2.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი. სამსახურის ძირითადი ფუნქციაა უნივერსიტეტის საქმიანობის სტანდარტების დადგენა, შესრულების ხარისხის გაზომვა და მონიტორინგი. აღნიშნული ფუნქციის ფარგლებში სამსახურის ამოცანაა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სტანდარტების დადგენა, აკადემიური პერსონალის მუშაობის ეფექტურობის ხარისხის და პროფესიული განვითარების სისტემატური შეფასება, ასევე, სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა სწავლის, სწავლებისა და შეფასების სტანდარტების დადგენისა და თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით.
    - 2.1.1 სამსახურის დაქვემდებარებაშია:
      - 2.1.1.1 პროგრამების განვითარების განყოფილება
      - 2.1.1.2 სტანდარტების შემუშავების განყოფილება
      - 2.1.1.3 ავტორიზაციის განყოფილება
      - 2.1.1.4 აკრედიტაციის განყოფილება
      - 2.1.1.5 შიდა აუდიტის განყოფილება
    - 2.2. პრორექტორის დაქვემდებარებაშია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი - სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი კოორდინაციას უწევს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ინსტიტუტის ძირითადი ამოცანაა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა, ამ მიმართულებით პროექტების განხორციელება და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი კვალიფიკაციის ამაღლება.
      - 2.2.1. ინსტიტუტის დაქვემდებარებაშია:
        - 2.2.1.1. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა განყოფილება
        - 2.2.1.2. ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილება
        - 2.2.1.3. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისა და პროექტების მართვის განყოფილება
        - 2.2.1.4. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კომისია
        - 2.2.1.5. სამეცნიერო ჟურნალის "კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალი" („Caucasus Journal of Social Sciences“) რედაქცია
        - 2.2.1.6. UG ოლიმპიადის ცენტრი.
        - 2.2.1.7. ბიბლიოთეკა.
        - 2.2.1.8. ეკონომიკის ინსტიტუტი
    - 2.3. პრორექტორის დაქვემდებარებაშია კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი - დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციაა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართვას კულტურულ და სპორტულ აქტივობებში და ამ მიზნით კულტურული და სპორტული აქტივობების ორგანიზება (ცვლილება N-7: პარტნიორთა კრების 2018 წლის 5 დეკემბერის N - 20/18 ოქმით).
    - 2.4. პრორექტორის დაქვემდებარებაშია ინოვაციური სისტემებისა და სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი - ინსტიტუტის მიზანია ინოვაციური სისტემების, ტექნოლოგიების, მეთოდოლოგიების მოძიება, კვლევა, სწავლება და საზოგადოების სხვადასხვა სფეროში იმპლემენტაციის ხელშეწყობა; ინტერდისციპლინარული პროექტების დაგეგმვა-განხორციელება სტრატეგიული კვლევების მიმართულებით. ინსტიტუტის ძირითადი

ამოცანებია: საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და კვლევების წარმოება, ცოდნის ტრანსფერი და სამოდულო პროექტების განვითარება, საგანმანათლებლო საქმიანობა.

### მუხლი 13. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა

1. სკოლა უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულია.
2. სკოლა პასუხისმგებელია მისი კომპეტენციის ფარგლებში სკოლის საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების განხორციელებაზე და ხარისხზე, სკოლის მარკეტინგზე, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ურთიერთობებზე, ფინანსებზე, აღმზრდელობით საქმიანობაზე.
3. უნივერსიტეტში ფუნქციონირებენ შემდეგი სკოლები:
  - 3.1 ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა
  - 3.2 სამართლის სკოლა
  - 3.3 სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
  - 3.4 ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა
  - 3.5 ხელოვნების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ცვლილება N-5: პარტნიორთა კრების 2017 წლის 29 აგვისტოს N-9/17 ოქმით)
  - 3.6 მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლა
  - 3.7 ამოღებულია.
4. სკოლას ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი.
5. სკოლაში სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის წარმართვის მიზნით სკოლის დირექტორის საქმიანობას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევენ ინსტიტუტის დირექტორი და შესაბამისი მიმართულების სამსახურები/განყოფილებები.

### მუხლი 13<sup>1</sup>. დამოუკიდებელი (საავტორო) საგანმანათლებლო პროგრამა

1. დამოუკიდებელი (საავტორო) საგანმანათლებლო პროგრამა არის საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამა, რომელიც არ შედის არც ერთი სკოლის (ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის) შემადგენლობაში.
2. დამოუკიდებელი (საავტორო) საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება შეიქმნას დაინტერესებული პირის ინიციატივით, თუ იგი აკმაყოფილებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დადგენილ სტანდარტებს.
3. დამოუკიდებელი (საავტორო) საგანმანათლებლო პროგრამა სარგებლობს სკოლის (ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის) ყველა უფლებამოსილებით, რომელიც შეიძლება დადგენილი იყოს საქართველოს კანონმდებლობით ან შიდა სამართლებრივი აქტებით.”

### მუხლი 14. სკოლის დეპარტამენტი

1. სკოლა შედგება დეპარტამენტებისაგან. დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაში. დეპარტამენტი პასუხისმგებელია დეპარტამენტის საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების განხორციელებასა და ხარისხზე.
2. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.
3. სკოლები შედგება შემდეგი დეპარტამენტებისგან:
  - 3.1 ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა - ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის, საჯარო ადმინისტრირების და ტურიზმის დეპარტამენტი
  - 3.2 სამართლის სკოლა - სამართლის დეპარტამენტი, საერთაშორისო ბიზნეს სამართლის დეპარტამენტი (ცვლილება N-6: პარტნიორთა კრების 2017 წლის 11 სექტემბერი N-10/17 ოქმით)



- 3.3 სოციალურ მეცნიერებათა სკოლა - ჟურნალისტიკის და მასკომუნიკაციების დეპარტამენტი, პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი.
- 3.4 ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტი, ჯანდაცვის მენეჯმენტის დეპარტამენტი, საექთნო საქმის დეპარტამენტი, სტომატოლოგიის დეპარტამენტი, ფარმაციის დეპარტამენტი, მედიცინის დეპარტამენტი, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დეპარტამენტი.
- 3.5 ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა - ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტი, აღმოსავლემცოდნეობის დეპარტამენტი, ისტორიის დეპარტამენტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, არქიტექტურისა და დიზაინის დეპარტამენტი, განათლების მეცნიერების დეპარტამენტი, არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის დეპარტამენტი. (ცვლილება N-5: პარნიორთა კრების 2017 წლის 29 აგვისტოს N-9/17 ოქმით)
- 3.6 მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლა - ინფორმატიკის დეპარტამენტი, ინჟინერიის დეპარტამენტი, მათემატიკის დეპარტამენტი, საბუნებისმეტყველო დეპარტამენტი.

#### მუხლი 15. სკოლის საბჭო

1. სკოლის კოლეგიალური ორგანოა სკოლის საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს სკოლის დირექტორი. სკოლის საბჭოს მუდმივი წევრები არიან: სკოლის დირექტორი, დეპარტამენტის უფროსი, ერთი პროფესორი. სკოლის საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით საბჭოს საქმიანობაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს სხვა აკადემიურმა პერსონალმა, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას სარგებლობს ხმის უფლებით.

#### მუხლი 16. სკოლის წარმომადგენლობითი საბჭო

1. სკოლის წარმომადგენლობითი საბჭო არის სკოლის მართვის კოლეგიური ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან სკოლის დირექტორი, სკოლის აკადემიური პერსონალი და 2 სტუდენტი. (აქედან ერთი სტუდენტი არჩეული, როგორც სკოლის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი და მეორე - როგორც დამოუკიდებელი სტუდენტი). საბჭო ისმენს სკოლის ყოველწლიურ ანგარიშს. საბჭო განიხილავს სტუდენტური თვითმმართველობის კომპეტენციისადმი მიკუთვნებულ იმ საკითხებს, რაც საჭიროებს სკოლის გადაწყვეტილებას;

#### მუხლი 17. საუნივერსიტეტო სასწავლო ცენტრები და ლაბორატორიები

1. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სპეციალური ცენტრები-კლინიკები და ლაბორატორიები, რომლებშიც სტუდენტები პრაქტიკულად ახორციელებენ იმ საქმიანობას, რომელსაც თეორიულად სწავლობენ. ასეთი ცენტრები იქმნებიან აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლის საბჭოს წარდგინებით.
2. ცენტრები-კლინიკები ფუნქციონირებენ საუნივერსიტეტო სკოლების ბაზაზე.

#### მუხლი 18. ამოღებულია (ცვლილება N -8: პარნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N – 14/19 ოქმით)

#### მუხლი 19. აკადემიური პერსონალი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
2. პროფესორები მონაწილეობენ ან/და უშუალოდ წარმართავენ სასწავლო, სამეცნიერო და აღმზრდელობით პროცესს.



3. აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული საკითხები (მათ შორის, აკადემიური პერსონალის ღია კონკურსის წესით შერჩევა) რეგულირდება „სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულებით“.

#### მუხლი 20. სასწავლო პროცესი

1. სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლო პროცესი, მათ შორის, შეფასების სისტემა წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შესაბამისი დებულებებით.

#### მუხლი 21. სტუდენტური თვითმმართველობა

1. სტუდენტური თვითმმართველობა დამოუკიდებელია და მოქმედებს თავისი დებულების შესაბამისად. მისი საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, საუნივერსიტეტო წესდებას, შიდა საუნივერსიტეტო აქტებს და უნდა იზიარებდეს უნივერსიტეტის მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

#### მუხლი 22. კოლეგიური ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი

1. კოლეგიური ორგანო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კოლეგიური ორგანოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის უფლებით სარგებლობენ კოლეგიური ორგანოს მუდმივი წევრები.
2. თუ კოლეგიური ორგანოს სხდომაზე არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება კენჭისყრის ფარულად ჩატარების შესახებ, კენჭისყრა არის ღია.
3. კოლეგიური ორგანოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ადგენს სხდომის მდივანი. ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი. ოქმს დანართის სახით ერთვის სხდომაზე დამსწრე პირთა დასწრების ფურცელი, რომელსაც ხელს აწერენ დამსწრე პირები.
4. ამ მუხლით დადგენილი წესები მოქმედებს, თუ ამ დებულებით სხვა რამ არის განსაზღვრული.

#### მუხლი 22<sup>1</sup>. გარდამავალი დებულებები

1. პარტნიორთა კრების 2016 წლის 22 დეკემბრის N-5/16 ოქმით დადგენილი ცვლილებები ძალაშია 2017 წლის პირველი თებერვლიდან.

შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

- ცვლილება N-1: პარტნიორთა კრების 2015 წლის 20 აპრილის N-6/15 ოქმით;  
ცვლილება N-2: პარტნიორთა კრების 2015 წლის 23 აპრილის N-7/15 ოქმით;  
ცვლილება N-3: პარტნიორთა კრების 2016 წლის 24 თებერვლის N-1/16 ოქმით;  
ცვლილება N-4: პარტნიორთა კრების 2016 წლის 22 დეკემბრის N-5/16 ოქმით;  
ცვლილება N-5: პარტნიორთა კრების 2017 წლის 29 აგვისტოს N-9/17 ოქმით  
ცვლილება N-6: პარტნიორთა კრების 2017 წლის 11 სექტემბერი N-10/17 ოქმით  
ცვლილება N-7: პარტნიორთა კრების 2018 წლის 5 დეკემბრის N -20/18 ოქმით  
ცვლილება N -8: პარტნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N – 14/19 ოქმით